ოქმი №15

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მორიგი

სხდომისა

აბაშა, 2026 წლის 14 მაისი

ოქმი №15

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მორიგი სხდომისა

აბაშა, 2026 წლის 14 მაისი

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა ი. კიზირია
სხდომას ესწრებოდნენ:
ბიუროს წევრები: პ. ხოშტარია, ზ. მაკალათია, მ. კვიტაშვილი, შ. ჯღარკავა, ზ. ნოდია, ზ. გუგუშვილი, დ. ცანავა, გ. ქოიავა, რ. კაჭარავა, ვ. ავალიანი, დ. ვერულაშვილი და გ. თოფურია.

საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საკრებულოს აპარატის უფროსი - ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი - გ. ხურციდავა და საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-იურიდიულ საკითხთა განყოფილების უფროსი ნ. კუპრეიშვილი.

დღის წესრიგი:

1. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცების შესახებ.

   მომხს. დ. ცანავა

2. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მოწმობის და სამკერდე ნიშნის ნიმუშებისა და აღწერილობის დამტკიცების შესახებ.

   მომხს. რ. კაჭარავა

3. აბაშის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს 2026-2027 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

   მომხს. რ. კაჭარავა

4. „აბაშის მუნიციპალიტეტის ქონების 2026 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 27 თებერვლის №10 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

   მომხს. რ. კაჭარავა

5. „აბაშის მუნიციპალიტეტის ქონების 2026 წლის პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 27 თებერვლის №11 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

   მომხს. რ. კაჭარავა

6. აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხელშეკრულების დადებაზე, რომლის ღირებულება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5%-ს აღემატება, თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს. რ. კაჭარავა

7. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის შესახებ.

მომხს. ი. კიზირია

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცების შესახებ.

მომხს. დ. ცანავა

მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე დ. ცანავამ ბიუროს წევრებს აცნობა, რომ დაფუძნდა ახალი ფრაქცია ,,აბაშისათვის". ამ ფრაქციაში გაერთიანდნენ დეპუტატები: გელა თოფურია, კოკი ჩაჩავა და გელა ლაბარტყავა, რომლებიც ფრაქციაში არ იყვნენ გაერთიანებული. ამჯერად საკრებულოს ყველა დეპუტატი გაერთიანებულია ფრაქციაში. საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, განსაზღვრულ იქნა მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში პროპორციული წარმომადგენლობის ახალი კვოტები, რასაც წარმოგიდგენთ დასამტკიცებლად.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება

დამტკიცდეს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო. საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ განსაზღვრული აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები თანდართული რედაქციით.

№	კომისიის დასახელება	ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"	ფრაქცია ,,ხალხის ძალა"	ფრაქცია ,,ევროპელი სოციალისტები"	ფრაქცია ,,აბაშისათვის"
1	იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო	5	1	1	1

	საკითხთა და ეთიკის კომისია				
2	საფინანსო-საბიუჯეტო კომისია	5	1	1	1
3	აგრარულ და მიწის საკითხთა კომისია	5	1	1	1
4	ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური და ქონების მართვის კომისია	5	1	1	1
5	სოციალურ, განათლების და კულტურის საკითხთა კომისია	5	1	1	1

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მოწმობის და სამკერდე ნიშნის ნიმუშებისა და აღწერილობის დამტკიცების შესახებ.

მომხს. რ. კაჭარავა

მომხსენებელმა რ. კაჭარავამ ბიუროს წევრებს გააცნო აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მოწმობის და სამკერდე ნიშნის ნიმუშებისა და აღწერილობის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ მიიღო რეკომენდაცია:

საკითხი – აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მოწმობის და სამკერდე ნიშნის ნიმუშებისა და აღწერილობის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს მორიგ სხდომაზე და მომხსენებლად დაინიშნოს საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე დ. ცანავა.

რეკომენდაცია მიღებულ იქნა ერთხმად.

3

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს 2026-2027 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხს. რ. კაჭარავა

მომხსენებელმა რ. კაჭარავამ ბიუროს წევრებს გააცნო აბაშის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს 2026-2027 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ მიიღო რეკომენდაცია:

საკითხი – აბაშის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს 2026-2027 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს მორიგ სხდომაზე და მომხსენებლად დაინიშნოს საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე დ. ცანავა.

რეკომენდაცია მიღებულ იქნა ერთხმად.

4

მოისმინეს:

„აბაშის მუნიციპალიტეტის ქონების 2026 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 27 თებერვლის №10 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. რ. კაჭარავა

მომხსენებელმა რ. კაჭარავამ ბიუროს წევრებს გააცნო „აბაშის მუნიციპალიტეტის ქონების 2026 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 27 თებერვლის №10 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ მიიღო რეკომენდაცია:

საკითხი – „აბაშის მუნიციპალიტეტის ქონების 2026 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 27 თებერვლის №10 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს

საკრებულოს მორიგ სხდომაზე და მომხსენებლად დაინიშნოს აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსი ლ. მელაძე.

რეკომენდაცია მიღებულ იქნა ერთხმად.

5

მოისმინეს:

„აბაშის მუნიციპალიტეტის ქონების 2026 წლის პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 27 თებერვლის №11 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. რ. კაჭარავა

მომხსენებელმა რ. კაჭარავამ ბიუროს წევრებს გააცნო „აბაშის მუნიციპალიტეტის ქონების 2026 წლის პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 27 თებერვლის №11 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ მიიღო რეკომენდაცია:

საკითხი – „აბაშის მუნიციპალიტეტის ქონების 2026 წლის პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 27 თებერვლის №11 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს მორიგ სხდომაზე და მომხსენებლად დაინიშნოს აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსი ლ. მელაძე.

რეკომენდაცია მიღებულ იქნა ერთხმად.

6

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხელშეკრულების დადებაზე, რომლის ღირებულება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5%-ს აღემატება, თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს. რ. კაჭარავა

მომხსენებელმა რ. კაჭარავამ ბიუროს წევრებს გააცნო აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხელშეკრულების დადებაზე, რომლის ღირებულება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5%-ს აღემატება, თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების პროექტი.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ მიიღო რეკომენდაცია:

საკითხი – აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხელშეკრულების დადებაზე, რომლის ღირებულება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5%-ს აღემატება, თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს მორიგ სხდომაზე და მომხსენებლად დაინიშნოს აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსი ზ. ბოხუა.

რეკომენდაცია მიღებულ იქნა ერთხმად.

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის შესახებ.

მომხს. ი. კიზირია

მომხსენებელმა, საკრებულოს თავმჯდომარე ი. კიზირიამ წამოაყენა წინადადება აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა მოწვეულ იქნეს 2026 წლის 15 მაისს დილის 11 საათზე, დღის წესრიგით:

1. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 15 მაისის მორიგი №8 სხდომის დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ.

   მომხს. ი. კიზირია

2. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მოწმობის და სამკერდე ნიშნის ნიმუშებისა და აღწერილობის დამტკიცების შესახებ.

   მომხს. დ. ცანავა

3. აბაშის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს 2026-2027 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

   მომხს. დ. ცანავა

4. „აბაშის მუნიციპალიტეტის ქონების 2026 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 27 თებერვლის №10 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

   მომხს. ლ. მელაძე

5. „აბაშის მუნიციპალიტეტის ქონების 2026 წლის პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 27 თებერვლის №11 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ლ. მელაძე

6. აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხელშეკრულების დადებაზე, რომლის ღირებულება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5%-ს აღემატება, თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს. ზ. ბოხუა

რეკომენდაცია მიღებულ იქნა ერთხმად.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე: ი. კიზირია

საქართველო GEORGIA. COUNCIL OF ABASHA MUNICIPALITY აბაშა 222448643